”დინამო” - ლაგოდეხში

ლაგოდეხი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ”კოლმეურნის” სარაიონო სტადიონზე 22 მაისს დიდი ხალხმრავლობა იყო: ლაგოდეხელ მშრომელებს სტუმრად ეწვივნენ თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელები, რომლებმაც აქ ამხანაგური შეხვედრა გამართეს რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე ადგილობრივ ”ჰერეთთან”.

მრავალრიცხოვანი მაყურებელი მოწმე იყო დინამოელთა საინტერესო თამაშისა, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 7:1. 2-2 ბურთი გაიტანეს ჩელებაძემ, სვანაძემ და ჯოხაძემ, 1- კაკილაშვილმა, საპასუხო გოლის ავტორია ტალახაძე.

აღსანიშნავია, რომ მატჩს სჯიდა ბულგარელი არბიტრი გ. კაბაკოვი, რომელიც ამ ქვეყნის დელეგაციასთან ერთად ლაგოდეხში იმყოფება და პროფესიით თამბაქოს სპეციალისტია.

ფ. კვირიკაშვილი.
”ლელო”, 25 მაისი, 1982 წ.